

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალციხის რაიონი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ასტორია“
G E O R G I A
REGION OF AKHALTSIKHE
L.T.D. "ASTORIA"

№91

18.11.2019წ

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

შ.პ.ს „ასტორია“-ს
დირექტორის მალხაზ მანველიშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ ჩვენი საწარმო ფუნქციონირებს ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალეს მე-2 შახტის დასახლებაში. საწარმოში ხორციელდება ასფალტის, ბეტონის და ინერტული მასალების წარმოება. საწარმო ფუნქციონირებს 2007წლიდან.

შპს „ასტორია“-ზე 2008 წელს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #39 ასფალტის წარმოებაზე. საწარმოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი შეთანხმებულია საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან (წერილი 78521.02.2014წ), რომელსაც ვადა მ/წლის 18 თებერვალს გაუვიდა.

ავღნიშნავთ, რომ საწარმოში დამონტაჟებულია DC-117-2K ტიპის ასფალტის წარმოების დანადგარი, რომლის სიმძლავრე 36ტ/სთ-შია. დანადგარი განკუთვნილია სხვადასხვა ტიპის ასფალტის ნარევის მოსამზადებლად, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტომობილო გზის მშენებლობაში. ასფალტის დანადგარი მუშაობს მაზუთზე.

ნებართვა მიღებული გვექონდა 17 000 ტ ასფალტის წარმოებაზე, რომლის დროს ფაქტიური სამუშაო დრო განისაზღვრებოდა 17000ტ/36ტ=472 საათით. ამჟამად მიმდინარე მოთხოვნებიდან გამომდინარე ვაპირებთ 40 000 ტ ასფალტის წარმოებას, რომლის დროსაც ფაქტიური სამუშაო დრო განისაზღვრება 40 000ტ/36ტ=1111საათით. მასაშადამე ასფალტის წარმოების მოცულობის ზრდა გამოწვეული იქნება ფაქტიური სამუშაო საათების გაზრდით.

ასფალტის გამოსაშვები წლიური რაოდენობა შეადგენს 40 000 ტონას, რისთვისაც საწარმო გამოიყენებს 2235 ტ ბიტუმს, 520 ტ მაზუტს, 15 294 ტ ქვიშას, 19 530 ლორღს და 2940 ტ მინერალურ ფხვნილს.

საწარმოს განზრახული აქვს წელიწადში 80 000მ³ ქვიშა-ხრეშის გადამუშავება რომლიდანაც ნაწილი მოიხმარდება ასფალტის წარმოებას, ნაწილი ბეტონის წარმოებას და ნაწილის რეალიზაცია მოხდება მომხმარებლებზე.

საწარმოში შემოსული ქვიშა ხრეში იყრება ნედლეულის საწყობში, საიდანაც მიეწოდება სამსხვრევ დამახარისხებელ დანადგარებს, რომლის წარმადობა 25მ³/სტ-შია. ქვიშა- ხრეში ჯერ იმსხვრევა ყბებიან სამსხვრეველზე, რომელიც განკუთვნილია მსხვილი ფრაქციის მიღებისთვის და შემდეგ კონუსურ სამსხვრეველაზე, რომელიც განკუთვნილია შედარებით წვრილი ფრაქციის მიღებისთვის. მსხვრევა მიმდინარეობს სველი მეთოდით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მტკვერგამოყოფას. ფრაქციებად დამსხვრეული მასალა შემდეგ ლენტური ტრანსპორტიორებით გადაიტანება ინერტული მასალების (ღორღი, ქვიშა) ღია საწყობში. სამსხვრევი დანადგარის სამუშაო დროის ფაქტიური ფონდი შეადგენს: 80000/25=3200 საათს.

№ 16472
"18" 11 2019
2/3

ინერტული მასალების ღია საწობიდან ინერტული მასალები ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება ასფალტის ქარხნის მიმდებ ბუნკერს, საიდანაც ის გადადის საშრობ დოლში, სადაც ხდება ინერტული მასალების გამოშრობა და საჭირო ტემპერატურამდე გახურება. საწვავად გამოიყენება მაზუთი, რომლის წლიური ხარჯი შეადგენს შესაბამისად 520 ტონას. შრობის პროცესს თან სდევს მტვრის მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოქმნა. საშრობი დოლი აღჭურვილია მტვერდამჭერი მოწყობილობებით (ჯგუფური ციკლონებით და სველი მტვერდამჭერებით), რომლებიც უზრუნველყოფენ მტვრის მნიშვნელოვანი ნაწილის დაჭერას. დაჭერილი მტვერი მიეწოდება შემრევ მოწყობილობას. გაცხელებული და გამომშრალი მასალა მიეწოდება დამხარისხებელ დანადგარს, სადაც ხდება მათი ფრაქციებად დაყოფა. შემდგომ, სპეციალურ სასწორებზე წარმოებს მასალის დოზირება წინასწარ მოცემული რეცეპტის მიხედვით და აწონილი მასალა იყრება შემრევ მოწყობილობაში, სადაც მიეწოდება წინასწარ გაუწყლოებული და მუშა ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი, აგრეთვე მინერალური ფხვნილი. შერევის პროცესის დასრულების შემდეგ პროდუქცია გადადის ჩასატვირთ-განსატვირთ ბუნკერში, საიდანაც მზა პროდუქცია ავტოტრანსპორტით მიეწოდება მომხმარებელს.

საწარმოში შემოსული ბიტუმი (ბიტუმის წლიური რაოდენობა შეადგენს 2235 ტონას) თავსდება დახურული ტიპის ბიტუმსაცავში, სადაც იგი ცხელდება ტენების საშუალებით ელექტროენერჯის ხარჯზე მის თხევად მდგომარეობაში უზრუნველსაყოფად. შემდგომ ბიტუმი გადაიქაჩება ბიტუმგამახურებელ დანადგარში, სადაც იგი მუშა ტემპერატურამდე ცხელდება ასევე ტენების საშუალებით ელექტროენერჯის ხარჯზე. შემდეგ დოზატორის გავლის შემდეგ ბიტუმი მიეწოდება შემრევ აგრეგატს.

საწარმოში ფუნქციონირებს აგრეთვე ბეტონის კვანძი საათში 30მ³ ბეტონის წარმადობით. წლიურად გამოსაშვები ბეტონის რაოდენობა შეადგენს 20000 მ³-ს, რისთვისაც საჭიროა 8000ტ ცემენტი, 14880ტ ქვიშა, 12800ტ ღორღი. ბეტონის კვანძის სამუშაო დროის ფაქტიური ფონდი შეადგენს: 20000/30=668 საათს.

საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მანე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ატმოსფერულ ჰაერში მანე ნივთიერებათა გაფრქვევის 16 არაორგანიზებული წყარო;

საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ინერტული მასალების და ცემენტის მტვერი აზოტის დიოქსიდი ნახშირჟანგი ჭვარტლიოგირდის ანჰიდრიდი ვანადიუმის ხუთჟანგი ნახშირწყალბადები

საწარმოების მუშაობის რეჟიმი: 250 დღე,

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით 5.1 პუნქტით „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება“ გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი №1 -“დაგეგმილი საქმიანობის მხარეა ტექნიკური მახასიათებლები“

პატივისცემით

შ.პ.ს „ასტორია“-ს დირექტორი



/მ. მანველიშვილი/